ბიბლიის

სასწაულები

ბიბლიის სასწაულები ბუნების
კანონების დახმარებით აიხსნება?

ვერნერ გითი

La bibliaj mirakloj

თანამედროვე სამეცნიერო ეპოქაში სასწაულები ერთი შეხედვით არარეალურად გვეჩვენება. გასული საუკუნის მეორე ნახევარმა რევოლუციური ცოდნა და წარმატებები მოუტანა კაცობრიობას:

- 1938 წელს გერმანელმა გამომგონებელმა, კონრად ცუზემ (1910 – 1995) პირველი პროგრამირებული კომპიუტერი შექმნა.
- 1967 წლის 3 დეკემბერს სამხრეთამერიკელი ექიმის, ქრისტიან ბერნარდის (1922 – 2001) მიერ წარმატებით იქნა გადანერგილი ადამიანის გული.
- 1969 წლის 21 ივლისს ადამიანმა პირველად დადგა ფეხი მთვარეზე. ასტრონავტმა ნილ არმსტრონგმა მთელი სიამაყით გადმოგვძახა ეს ფრაზა დედამიწელებს: "ადამიანის პატარა ნაბიჯი, რომელიც მეცნიერებისთვის უზარმაზარი ნაბიჯია".
- შოტლანდიელმა ემბრიოლოგმა იან ვილმუთმა 1996 წელს ცხვრის კლონირება მოახდინა, რომელსაც დოლი ერქვა.

ეს მცირე მაგალითები შთაბეჭდილებას ბადებენ, თითქოს ადამიანურ შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს. მეცნიერებაზე ორიენტირებულ თანამედროვეთ, პრობლემები აქვთ ბიბლიასთან მიმართებაში. მათი მოსაზრებით, "წიგნთა წიგნში" უამრავი, სამეცნიერო თვალსაზრისით სრულიად გაუგებარი ამბავია მოთხრობილი, მაგალითად:

- ქალწულებრივი შობა
- მკვდრეთით აღდგომა
- ბრმებისთვის თვალის ახელა და ხეიბრების განკურნება
- მზისთვის ბრძანების მიცემა და დღის ხანგრძლიობის გაზრდა

ჩვენ ბიბლიური სასწაულების ფენომენის გამო კონფრონტირებულები ვართ და გვეკითხებიან, თუ

რამდენად არის ის მისაღები 21-ე საუკუნის ადამიანისთვის. სასწაულთან დაკავშირებით, პირველი ნაბიჯის სახით წინასწარ დეფინიციას გთავაზობთ:

დეფ. I: სასწაული ჩვენ გვაოცებს, რადგან მოულოდნელად და გაუანგარიშებლად ხდება და ჩვენს ნორმალურ დაკვირვებას ეწინააღმდეგება.

თუ სასწაულები მოულოდნელია, მაშ რაღაა მოსალოდნელი?

ეს კითხვა დაგვეხმარება სასწაულსა (მოულოდნელი) და ჩვეულებრივ მოვლენას (მოსალოდნელი) შორის გამყოფი ხაზის გავლებაში. ჩვენს სამყაროში მოვლენები დადგენილი კანონზომიერების ჩარჩოებში ხდება. ამ უცვლელ კანონზომიერებას ბუნების კანონებს ვუწოდებთ. ჩვენი ცოდნის მიხედვით, სამყაროს შექმნის დროიდან მოყოლებული, ბუნების კანონები უწყვეტი და უცვლელია. ისინი დიდ შესაძლებლობას ქმნიან მრავალმხრივი ტექნიკური აღმოჩენებისთვის და გამორიცხავენ მოვლენებს, რომლებიც ჩვენი აზრით გამოგონილი და არარეალიზებადია.

ბუნების კანონების საოცრება

არ გაოცებთ ბუნების კანონების მოქმედება? ისინი ხომ ასე შთამბეჭდავია! ცოტა ხნის წინ, ჰამბურგში ყოფნისას, პორტში გემის ნელ მოძრაობას ვაკვირდებოდი. გონებაში ერთი ბუნების კანონი ამომიტივტივდა, რომელიც ჯერ კიდევ არქიმედესათვის (ქრისტემდე 287 – 212 წწ.) იყო ცნობილი: “წყალში ჩაშვებულ სხეულზე მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც სხეულის მიერ გამოდევნილ სითხის წონას უდრის”.

თუ გვესმის ამ უცნაური ქმედების არსი? მაგ.: როცა ვირთხა გემბანიდან გარბის, გემი მყისვე რეაგირებს და იმ სიღრმეზე იძირება, რომ ზედმეტად შემოჭრილი წყლის მასა ვირთხის წონისაა. თუ ჩვენ იგივე გამოთვლას სხვა გემის ჩაძირვის სიღრმის დასადგენად გამოვიყენებთ, გაუმართლებელი იქნება, რადგან ჩვენ არ ვიცით იმ გემის ზუსტი ფორმა, გარდა ამისა, შესაძლოა ზოგ ადგილას საღებავიც მოცლილი ჰქონდეს და წყლიდან პროპელერის რაღაც ნაწილიც მოჩანდეს. ყველა ეს დეტალი ზუსტად უნდა განისაზღვროს, რადგან თითოეულს დაანგარიშებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რეალობაში კი ეს თვალის დახამხამებაში და რა თქმა უნდა სიზუსტით ხდება. ვინ აძლევს წყლის მოლეკულებს ბრძანებას, ცოტა გვერდით გაიწიონ, რათა გემი ვირთხის წონის სიღრმეზე ჩაიძიროს? ბუნების კანონი არსებობს არა მხოლოდ ჰამბურგის პორტის გემისთვის, არამედ მსოფლიოში არსებული ყველა გემისთვის, როგორც ვანაში მოტივტივე სათამაშოსთვის, ისე ტბაზე ან მდინარეში მოცურავე იხვისთვის. არავის შეუძლია ბუმბულის ფორმის და სტრუქტურის გამოთვლის გარეშე იხვის ჩაძირვის სიღრმე დაიანგარიშოს. ვინ ზრუნავს იმაზე, რომ ასე მარტივად ფორმულირებადი ბუნების კანონის პირობა, თავისი რთული შედეგით, ყველა დროსა და ყველა ადგილას ზუსტად იქნას დაცული? ვიღაც უნდა არსებობდეს, რომელიც ამ გამოთვლებს აწარმოებს და შედეგებსაც წარმოაჩენს.

ვინ ზრუნავს ბუნების კანონების მდგრადობაზე?

სინამდვილეში არის ვიღაც, რომელიც ბუნების კანონების მდგრადობაზე ზრუნავს. მასზე კოლოსელთა წერილში ვკითხულობთ: **“ყოველივე მისით დგას”** (1:17). სამყაროს შემანარჩუნებელი შემოქმედია: **“ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი, რაც ცაში და მიწაზეა, ხილული და უხილავი ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი”** (კოლ. 1:16). ეს არის იესო ქრისტე! შეგვიძლია ასე ვთქვათ: იესოს აქვს უზენაესი ძალაუფლება

სამყაროზე, მიკროკოსმოსით დაწყებული მაკროკოსმოსით დამთავრებული.

შესაქმის პროცესი არის მოვლენა, რომელიც ბუნების კანონების დახმარებით არ წარმართულა. სამყარო შემოქმედმა თავისი აბსოლუტური ძალაუფლებით, თავისი სიტყვით, ძალით და სიბრძნით შექმნა. ამისათვის მას არ დასჭირვებია ბუნების კანონები. მიტომ ისინი სამყაროს მიზეზს კი არ წარმოადგენენ, არამედ შედეგს. მხოლოდ სამყაროს გასრულების შემდეგ დაიწყეს მოქმედება ბუნების კანონებმა ისე, რომ ახლა ყველა მოვლენა მათით სრულდება. იესო არის გარანტი იმისა, რომ ეს კანონები ყველგან და ყოველთვის იმუშავებენ. ამისათვის მას არ სჭირდება არც კომპიუტერი და არც სხვა დამხმარე საშუალება, საკმარისია მხოლოდ მისი ძალმოსილი სიტყვა. ებრაელთა წერილში წერია: "რომელსაც (იესო) ყოველივე უპყრია თავისი ძალის სიტყვით" (1:3). იესოს ეს შემანარჩუნებელი ძალა სამეცნიერო კუთხით ბუნების კანონებში აისახება. ზოგადად ბუნების კანონები ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა წიაღში პროცესები მიმდინარეობს.

სად არის ადგილი სასწაულისთვის?

პრაქტიკაში ბუნების კანონები "უზენაესი სასამართლოს" ფუნქციას ასრულებენ, რომლებიც წყვეტენ ამ სამყაროში რა პროცესებია ნებადართული და რა არა. სამყაროში არსებული კომპლექსური პროცესების უმრავლესობა (მაგ.: ტვინის ფუნქციონირება, ემბრიონის განვითარება) ჩვენთვის გასაოცარი და მიუწვდომელია, მაგრამ ამით ბუნების კანონები არ ირღვევა. სამყაროში არსებულ კომპლექსურ და რთულად გასაგებ პროცესებს სასწაულად არ მივიჩნევთ, რადგან ისინი მოსალოდნელია. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შეგვიძლია სასწაულის მეორე, ზუსტი დეფინიცია წარმოვადგინოთ:

დეფ. II: სასწაული სივრცესა და დროში მიმდინარე მოვლენაა, რომელიც ბუნების კანონების ჩარჩოების მიღმა ხდება.

ადამიანებს არ შეგვიძლია ბუნების კანონების გაუქმება და ამიტომ არც სასწაულები ხელგვეწიფება. ბიბლიაში უამრავ სიტუაციას ვხვდებით, სადაც ღვთაებრივი სასწაულია აღწერილი:

- ისრაელიანთა მეწამულ ზღვაზე გადასვლა (გამოს. 14:16-22)
- მზის გაჩერება იესო ნავეს ძის დროს (იესო. 10:12-14)
- ქარიშხლის დაცხრომა (მარკ. 4:35-41)
- იესოს წყალზე სიარული (იოან. 6:16-21)
- ბრმადშობილის განკურნება (იოან. 9:1-7)
- 5000 კაცის დანაყრება (იოან. 6:1-15)
- ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება (იოან. 11:32-45)

მითითება: ადამიანები ხანდახან ისეთ საქმეებს აკეთებენ, რომლებიც ბუნების კანონებს არ ემორჩილებიან, თუმცა შესაძლოა ამას სხვა ძალების სახელით აკეთებდნენ. ისინი ან მაცხოვრის მოწაფეები არიან, რომელთაც მისგან აქვთ ხელმწიფება ბოძებული (მაგ.: პეტრე დადის წყალზე (მათ. 14:29), პეტრე ტაძრის კართან დავრდომილს კურნავს (საქ. 3:1-9)) ან ჯადოქრები არიან, რომლებიც დემონური ძალებისგან იმართებიან (მაგ.: ფარაონის მისნები (გამოს. 7:11-12)).

შეიძლება ბიბლიაში მოყვანილი სასწაულების ბუნების კანონებით ახსნა?

ღმერთს შეუძლია როგორც ბუნების კანონების ფარგლებში, ისე მის გარეთ მოქმედება. იაკობის წერილში (5:17-18) ვკითხულობთ ელია წინასწარმეტყველის შესახებ, რომლის ლოცვის შემდეგ 3,5 წლის განმავლობაში წვიმა შეწყდა და ასევე მისი ლოცვის შემდეგ სწრაფადვე მოვიდა. ღმერთმა მოახდინა ეს სასწაული და თავისი ნება აღასრულა. მეტეოროლოგი ამ მოვლენაში ბუნების კანონის დარღვევას ვერ დაინახავდა.

განმანათლებლობის ეპოქაში იკვლევდნენ, თუ იყო შესაძლებელი ბიბლიური ამბების ბუნებრივად ახსნა. სასწაულები, რომლებიც ბუნების

კანონების საწინააღმდეგოდ მიიჩნიეს, არაჭეშმარიტად გამოცხადდა.

ბიბლიური მოვლენების ბუნების კანონების ჩარჩოებში გაგება დაუშვებელია. ღმერთი სუვერენულად მოქმედებს. მან შექმნა ბუნების კანონები და ამიტომ მათ არ ექვემდებარება. ღმერთი თავის ქმედებაში შემოსაზღვრული არ არის, რადგან **"ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი"** (ლუკ. 1:37). მისი ნება სრულდება.

შესაქმე, როგორც ამას დაბადების წიგნში (1:1) ვკითხულობთ, ბიბლიაში გადმოცემულ სასწაულთაგან პირველია. ღმერთი ექვსდღიანი შესაქმის პროცესში, საკუთარი იდეების და გეგმის მიხედვით ქმნის კოსმოსს და სიცოცხლეს ამ პლანეტაზე.

ღმერთის განკაცება უჩვეულო სასწაული და ღვთის საიდუმლოა: ქალწულ მარიამს სულიწმიდისგან ჩაესახა. იესო ამ გზით მოევლინა წუთისოფელს და ერთდროულად ღვთის ძედ და კაცის ძედ იწოდებოდა. ჯვარცმით მან ჩვენი ცოდვები დაფარა და ხსნის გარანტად იქცა.

მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა მარკანტული მოვლენაა, რომელიც არანაირ საბუნებისმეტყველო ახსნას არ ექვემდებარება. ყოველგვარ აზრს არის მოკლებული ბიოლოგიური და სამედიცინო ახსნა-განმარტების ძიება. მკვდრეთით აღდგომა არის და იქნება ღმერთის მოქმედების შედეგი, რომელიც ბუნების კანონების გვერდის ავლით მოხდა.

რატომ იქმოდა იესო ქრისტე სასწაულებს?

მაცხოვრის სასწაულები განუყოფელია იმ უწყებისგან, რასაც ქადაგებდა. ის ციდან სამგზავრო პასპორტით არ მოსულა, რომელზეც მონიშნული იყო "ღვთის ძე", არამედ როგორც ღვთის წარმოგზავნილს, ძალმოსილი სიტყვა და მოქმედება ჰქონდა. მაცხოვრის, როგორც შემოქმედის, მხსნელის და მარადიული მე-

ფის ავტორიტეტი, თანამდევი სასწაულებით და ნიშნებით იყო განმტკიცებული. ეს არის მისი მისიის და მოძღვრების ინტეგრალური შემადგენელი ნაწილი. ყველა ზემოთ გამოთქმული აზრის მიხედვით, შეგვიძლია ღვთიური სასწაული უფრო ზუსტად ასე განვსაზღვროთ:

დეფ. III: სასწაულები გასაოცარი და უჩვეულო ქმედებებია, რომლებიც ღმერთისგან და იესო ქრისტესგან მომდინარეობს და ბუნების კანონების მიღმა ხდება.

დემონური საქმეებისგან განსხვავებით ღვთიური სასწაულები ემსახურებიან:

- თავად ღმერთის განდიდებას (მაგ.: ქმნილება (ფს. 18:2), ბრმადშობილის განკურნება (იოან. 9:3))
- ჩვენს მიმართ ღვთის სიყვარულის წარმოჩინებას (მაგ.: კლდიდან წყლის გადმოსვლა (გამოს. 17:1-6), ყორნების მიერ ელია წინასწარმეტყველის საკვებით მომარაგება (3 მეფ. 17:6))
- რწმენაში განმტკიცებას (მაგ.: ქორწილი გალილეის კანაში (იოან. 2:11))
- ან გასაჭირიდან ხსნას (მაგ.: ქარიშხლის დაცხრობა (მარკ. 4:39))

რწმენის სასწაული

ჩვენი დროის ყველაზე დიდი სასწაული მაცხოვრის რწმენა და საუკუნო სიცოცხლის დამკვიდრებაა. ამ დროს არ არის საჭირო ბუნების კანონების უგულებელყოფა, არამედ ძველი აზროვნების ახლით ჩანაცვლება. მოციქულთა საქმეში (16:23-34) აღწერილია ციხის ზედამხედველის მოქცევა, რაც ამგვარი ცვლილების მაგალითს წარმოადგენს. კითხვაზე: **"რა ვქნა, რომ გადავრჩე"**, მოციქული პავლე და

სილა პასუხობენ: **“იწამე უფალი იესო და გადარჩები შენც და მთელი შენი სახლიც”**.

რატომ არ უთხრა პავლემ ციხის ზედამხედველს “ღმერთი” ირწმუნეო? მაშინ მისგან ამგვარ პასუხს მიიღებდა: “ჩვენ საკმაოდ გვყავს ღმერთები – ზევსი, ქრონოსი, რეა, პოსეიდონი, ჰადესი, აპოლონი, არტემიდე და ჰერმესი”. მოციქული პავლე მხოლოდ ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს შესახებ უქადაგებს, რადგან მხოლოდ მასშია ხსნა და საუკუნო სიცოცხლე. ციხის ზედამხედველის კითხვაზე იმ დროსაც და ახლაც მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: იესო ქრისტე! ისიც მიხვდა და მაცხოვარი პირად მხსნელად მიიღო. აღსანიშნავია თუ რა დრო მოანდომა ციხის ზედამხედველმა ამ გადაწყვეტილების მიღებას. პირველად ხსნის შესახებ მან შუა ღამისას მოისმინა. სავარაუდოდ მოციქული პავლე და სილა მასთან სხვა საკითხებზეც საუბრობდნენ. საუბარი თუნდაც საათები გაგრძელებულიყო, მოქცევა ყოველ შემთხვევაში ერთ დღეში მოხდა. ეს შესაძლოა ერთგვარი გამხნევება იყოს იმ მკითხველისთვის, რომელიც პირველად ეცნობა სახარებას. მოსაქცევად სულაც არ არის საჭირო 23 ან 168 ქადაგების მოსმენა. სახარების ძალა დაუყოვნებლივ მოქმედებს. “რწმენის სასწაულისთვის” არ არის საჭირო ბუნების კანონების დაძლევა, არამედ ის კედელი უნდა დაიძლიოს, რასაც ჩვენი ნება ჰქვია:

- საკუთარი, მტკიცედ გამონაცადი აზროვნების კედელი
- სიამაყისა და თვითგამართლების კედელი
- გაქვავებული გულის კედელი

ის რასაც ახლადმოქცეული გრძნობს, ყოველგვარ ადამიანურ ცოდნასა და წარმოდგენებს აღემატება. იგი საკუთარ გზას ტოვებს და ხსნის გზაზე დგება, რითაც ზეცის მოქალაქე

ხდება: **“ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია”** (ფილ. 3:20). მაცხოვრისკენ მოქცევა ყველაზე უდიდესი რამ არის, რაც ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს. დღესვე გადაწყვიტე და მიიღე უფალი იესო შენს ცხოვრებაში! ქვემოთ მოყვანილი ლოცვა დაგეხმარება დამხსნელი რწმენის მიღებასა და ზეცაში ადგილის დამკვიდრებაში:

“უფალო იესო, მსურს ცათა სასუფეველი დავიმკვიდრო. განმწმინდე ყოველგვარი ამპარტავნებისა და სხვა ცოდვებისგან. მწამს, რომ უფალი ხარ, ჩვენთვის განკაცებული და წუთისოფელად მოსული. მწამს, რომ ჩემთვის მოკვდი ჯვარზე და მკვდრეთით აღსდექი. შენ ჩემი მხსნელი ხარ, შენზე ვარ მონდობილი და გიღებ ჩემს ცხოვრებაში. გთხოვ შემოხვიდე ჩემს გულში, მიწინამძღოლო და მიზნამდე მიმიყვანო! ამინ!”

დირექტორი და ემერიტუსი პროფესორი
დრ. ინჟ. ვერნერ გითი

ორიგინალის სათაური: *Wunder der Bibel*
ავტორის ვებ-გვერდი: www.wernergitt.de
გერმანულიდან თარგმნა: ილია ოსეფაშვილმა
გრაფიკული გამოსახულება და განლაგება: მანფრედ როზელერი

Publisher: Bruderhand-Medien
Am Hofe 2, 29342 Wienhausen, Germany
Telefon: +49 (0) 51 49 98 91-0
E-Mail: info@bruderhand.de; Homepage: bruderhand.de

Nr. 126-58: Georgisch/Georgian, 2nd edition 2026